



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N 94

ქ. გარდაბანი

15/08/2022

94-06-4-202208151511



„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავის ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება - „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავის ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №2 განკარგულებაში და განკარგულების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ მუხლი 1

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავის ლიმიტი განისაზღვროს თვეში 9200 (ცხრა ათას ორასი) ლიტრის ოდენობით: ბენზინი - 8200 (რვა ათას ორასი) ლიტრი, დიზელი - 1000 (ათასი) ლიტრი“.

მუხლი 2

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. №6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე